

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

შპს მიტინვესტი (ს/კ – 406238548)

საანგარიშო პერიოდი : 01.01.2021 წ.-31.12.2021 წ

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს მიტინვესტი ს/ნ 406238548 შემდგომში კომპანია დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაფუძნდა 2018 წელს საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე. კომპანიის სტატუსია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის 1 გ. შპს მიტინვესტი ფუნქციონირებს 2018 წლის 26 თებერვლიდან.

შპს მიტინვესტის საწარმოო მიმართულებაა: სასტუმრო მომსახურება. კომპანიაში 2021 წელს დასაქმებული იყო საშუალოდ 11- (თოთხმეტი) თანამშრომელი.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

კომპანიის დამფუძნებელთა შორის წილები 2021 წლის 31 დეკემბერს გადანაწილებული იყო შემდეგნაირად:

თორნიკე კაპანაძე	3/5	31001007188	100 %
------------------	-----	-------------	-------

კომპანიის დირექტორია თორნიკე კაპანაძე .

შპს მიტინვესტის მიერ წარმოდგენილი 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში- ანგარიშგება) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს-ები) და შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომში-ბასს-ები) და მათი ინტერპრეტაციების ჩათვლით ყველა არსებით ასპექტში. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგი, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. შენიშვნებში მოცემულია განმარტებები –ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით. აქ თავმოყრილია ინფორმაცია , რომელიც მოითხოვება ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია , რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

შპს მიტინვესტის

დირექტორი ა. ცაიშვილი


ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშის შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობა /ბალანსი/
2. საქმიანობის შედეგები /მოგებისა და ზარალის ანგარიშგება/
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს მიტინვესტის

დირექტორი



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	386970	400706
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	33948	59280
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრ;	30071	30071
მარაგები	4710	10875
მზა პროდუქცია	4710	10875
სხვა	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	242459	55557
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	5083	5083
ძირითადი საშუალებები	5935223	6018938
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	6638464	6580510
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	9916	46508
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	407	407
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	622
სულ ვალდებულებები	10323	47537
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივი	6381686	6381686
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	246455	151287
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	6628141	6532973
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6638464	6580510
სულ მოკლევადიანი აქტივები	242459	55557
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0

დირექტორი ა.კ. მამუკაძე

4-გვერდი

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები /მოგება-ზარალის ანგარიშგება/

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31.12.2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	569033	977482
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	569033	905522
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	71960
გაყიდვების თვითღირებულება	-59243	-122881
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	509790	854601
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-83398	-242832
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	-184595
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-247794	-168207
სულ საოპერაციო ხარჯები	-331192	-595634
საოპერაციო მოგება	178598	258967
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	53078	121944
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	79237	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობით	310913	380911
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	310913	380911
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	310913	380911
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6532973	6471597
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

0

0

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

-215745

-319535

კაპიტალის სხვა ცვლილებები

0

0

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

6628141

6532973

დირექტორი

გ. კახიძე

5-გვერდი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1063220	2066312
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1077555	-2074724
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-14335	-8412
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	599	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	400706	409118
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	386970	400706

დირექტორი გ. კახიძე

ბ-გვერდი

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე შემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი საწარმოებისათვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გაგლეჩის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს კალენდარულ წელს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით – ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება “ესტონური მოდელით”. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და გაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საანგარიშო პერიოდში ძირითადი საშუალებების აღრიცხვა-აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს აქტივის შეძენის, ადგილამდე ტრანსპორტირების, დამონტაჟების და სხვა მასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ძირითადი საშუალებები ბალანსში აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შპს მიტინვესტს საანგარიშო პერიოდში არ აქვს შეძენილი არამატერიალური აქტივი.

ამონაგების აღიარება

კომპანიის საქმიანობაა სასტუმროს მომსახურება. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, კეძოდ მომსახურების რეალიზაციის საფუძველზე.

ამონაგები

ლარი	31.12.2021	31.12.2020
სხვა		71960
მომსახურების რეალიზაცია	569033	905522
	977482	977482

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გაწევა დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

კომპანიის მიერ გაწეული დანახარჯები არის ხარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სასტუმრო მომსახურების რეალიზაციასთან. აღნიშნული ხარჯები მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, მარაგების, კომუნალურების, და სხვა ტიპის პირდაპირ ხარჯებს.

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულების კომპონენტები

	31.12.2021
პირდაპირი მასალები	59243
შრომითი ანაზღაურება	83398
კომუნალურები	44748
ცვეთა	155542
დამხმარე მასალები	0
რემონტები	0
სხვა	47504
	390436

საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებს მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს.

მარაგები

ლარი	31.12.2021	31.12.2020
მზა პროდუქცია	0	0
ნედლეული	0	0
დაუმთავრებელი წარმოება	0	0
საქონელი	4710	10875
სხვა მარაგები	0	0
	4710	10875

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

შპს მიტინვესტს არ აქვს სესხი .

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	33948	59280
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვები	0	0
სხვა მოთხოვნები	0	0
	33948	59280

სავაჭრო ვალდებულება

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს.

კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან და აერთიანებს საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი
ვალდებულებები

ლარი	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	9916	46508
საგადასახადო ვალდებულებები	407	407
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0
გადასახდელი პროცენტები	0	0
გადასახდელი დივიდენდები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	622
	10323	47537

დამატებული ღირებულების გადასახადი

კომპანიის მიერ გაყიდვების /მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხის დეკლარირების გზით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრები

კომპანიას საბანკო ანგარიში გახსნილი აქვს სს თიბისი ბანკში, სს საქართველოს ბანკში და სს ბაზის ბანკში.

ფული და ფულთან

გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31.12.2021
ფული სალაროში	207358
ფული საბანკო ანგარიშებზე	179612
	386970

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

შპს მიტინვესტის

დირექტორი _____ *თ. ყანაშვილი*